საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო
უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ბრძანება

KARR0105025638921

№03-29 04 / თებერვალი / 2021 წ.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სტუდენტთა შიდა მობილობის ვადებისა და შიდა მობილობისათვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის № 1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის მე-40 მუხლის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცესის პროცედურის“-ა ND 2-F02 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დადგინდეს სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სტუდენტთა შიდა მობილობის რეგისტრაციის ვადა 05 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.
2. ნავიგაციის ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 48 ადგილი;
ბ) „საპორტო ოპერაციების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 ადგილი.
3. საინჟინრო ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
ბ) „გემის მექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე -40 ადგილი;
გ) „გემის ელექტრომექანიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე- 20 ადგილი;
დ) „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე- 10 ადგილი.
4. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისათვის სტუდენტთა შიდა მობილობის ადგილების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) „ბიზნესის ადმინისტრირება“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 20 ადგილი;
ბ) ეკონომიკა - ტრანსპორტის ეკონომიკა“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 20 ადგილი.
გ) „ფინანსები - საფინანსო საქმე და დაზღვევა ტრანსპორტზე“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 20 ადგილი;
დ) „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე- 2 ადგილი;
ე) „ლოჯისტიკა და ექსპედირება“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 ადგილი;
ვ) „საზღვაო ტურიზმის მენეჯმენტი“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2 ადგილი.
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავიგაციის ფაკულტეტზე სტუდენტთა მიერ შიდა მობილობის გზით ჩარიცხვის მიზნით სავალდებულოა დაკმაყოფილებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობა:
ა) „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე:
ა.ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის კატეგორიაში ჩაბარებული ჰქონდეს - ინგლისური ენა ან წარმოადგინოს ინგლისური ენის B1 (Pre -intermediate level) დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა საზღვაო აკადემიაში;
ა.ბ) 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ჰქონდეს მათემატიკის გამოცდა;

ა.გ) 2020 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებს - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ჰქონდეს მათემატიკა ან გეოგრაფია.
ბ) „საპორტო ოპერაციების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ჩაბარებული ჰქონდეს B2 დონის ინგლისურის შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა.
6. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიერ შიდა მობილობის გზით ჩარიცხვის მიზნით სავალდებულოა დაკმაყოფილებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი წინაპირობა:
ა) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის კატეგორიაში ჩაბარებული ჰქონდეს - ინგლისური ენა ან წარმოადგინოს ინგლისური ენის B1 (Pre -intermediate level) დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა საზღვაო აკადემიაში;
ბ) 2020 წელს ჩარიცხულ სტუდენტებს - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ჰქონდეს მათემატიკის გამოცდა;
გ) 2020 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებს - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული ჰქონდეს მათემატიკა ან გეოგრაფია.
7. შიდა მობილობისათვის სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა პირადი ელექტრონული პორტალის საშუალებით.
8. მობილობის მსურველ სტუდენტს უფლება აქვს დაარეგისტრიროს არაუმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამისა.
9. შიდა მობილობის პროცესში კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს მიმდინარე წლის 15 თებერვლისათვის საუკეთესო საერთო შეწონილი ქულის მქონე სტუდენტებს.
10. საინჟინრო ფაკულტეტზე მობილობის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საინჟინრო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე.
11. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს მობილობის მსურველ სტუდენტთა განაწილება რეიტინგული ქულების მიხედვით და შესაბამისი ფაკულტეტებისათვის გადაცემა მიმდინარე წლის 17 თებერვალს.
12. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფაკულტეტებს დაევალოს მობილობის მსურველ სტუდენტთა თავსებადობების მომზადება და სტუდენტებთან ელექტრონული შეთანხმების შემდეგ, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 22 თებერვლისა გამოცემულ იქნას რექტორის ბრძანება შიდა მობილობის წესით სტუდენტთა სპეციალობის შეცვლის შესახებ.
13. მობილობის მსურველთა კანდიდატებისათვის ინგლისურ ენაში გამოცდები ჩატარდეს ტესტური ფორმით.
14. დაევალოს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა სერვისების სამსახურს ინგლისურ ენაში გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული მხარის უზრუნველყოფა.
15. დაევალოს რექტორის აპარატს შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირისათვის ბრძანების ასლის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N30).
17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტის უფროსის ელდარ მსხალაძის 2021 წლის 01 თებერვლის №118 მოხსენებითი ბარათი.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი კაცაძე